თუ ორი მუსლიმი შეხვდება (ბრძოლაში, მახვილების გადაჯვარედინებით), როგორც მკვლელი, ასევე მოკლული აღმოჩნდებიან (ჯოჯოხეთის) ცეცხლში

გადმოცემულია აბუ ბაქრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «თუ ორი მუსლიმი შეხვდება (ბრძოლაში, მახვილების გადაჯვარედინებით), როგორც მკვლელი, ასევე მოკლული აღმოჩნდებიან (ჯოჯოხეთის) ცეცხლში». მე ვკითხე: ო, ალლაჰის მოციქულო, ეს მკვლელია (გასაგებია, თუ პირველი იქ მოხვდება), მაგრამ რატომ მოკლული? მან უპასუხა: «იმიტომ, რომ ისიც ცდილობდა მისი მეგობრის მოკვლას».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეგვატყობინა, რომ თუ ორი მუსლიმი შეხვდება (ბრძოლაში, მახვილების გადაჯვარედინებით) და თითოეული მათგანი ცდილობს მეორის განადგურებას, მკვლელი აღმოჩნდება ჯოჯოხეთში იმის გამო, რომ მან უშუალოდ მოკლა თავისი მეგობარი. მოციქულის საჰაბები გაურკვევლობაში ჩააგდო მოკლულის მდგომარეობამ: თუ რატომ აღმოჩნდება ის ჯოჯოხეთში? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განუმარტა, რომ ისიც მოხვდება ჯოჯოხეთში, რადგან მისი მიზანიც იყო მეორის მოკვლა, და მხოლოდ იმის გამო ვერ შეძლო ეს, რომ მკვლელმა მას დაასწრო და გააკეთა ეს მასზე წინ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4304